მოწყობილობის დანიშნულება

მოწყობილობა განკუთვნილია საკვები პროდუქტების გასაშრობად.

უსაფრთხოების ზომები

1. მოწყობილობის კვების წყაროსთან შეერთებამდე დარწმუნდით, რომ თქვენი საშინაო ელექტროქსელის ძაბვა შეესაბამება ტექნიკურ მახასიათებლებს.

2. მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისა და შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირების მიერ გამოსაყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე ხორციელდება კონტროლი სხვა, მათ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ. თვალი ადევნეთ, რომ ბავშვებმა არ ითამაშონ მოწყობილობით.

3. არ გამოიყენოთ მოწყობილობა წყალთან ახლოს. არ გამოიყენოთ მოწყობილობა აბაზანაში, საშხაპეში, აუზზე ან მაღალი ტენიანობის მქონე სხვა შენობებში. წყლის სიახლოვე საფრთხეს წარმოადგენს მაშინაც კი, როდესაც მოწყობილობა გამორთულია.

4. დაუშვებელია მოწყობილობის ექსპლუატაცია იმ შენობებში, სადაც არის საღებავების, გამხსნელების და სხვა მსგავსი სპეციფიკური სუნი, აგრეთვე შენობებში, სადაც ჰაერში აირითა და ორთქლის ფეთქებადსაშიში კონცენტრაციაა.

5. მოწყობილობა განკუთვნილია მხოლოდ საკვები პროდუქტების გასაშრობად.

6. მოერიდეთ მოსახსნელი კალათების დარტყმასა და ვარდნას, რადგან ისინი დამზადებულია მყიფე მასალისგან და შეიძლება მიიღონ მექანიკური დაზიანება.

7. გასაშრობი პროდუქტები არ დაალაგოთ უშუალოდ ვენტილატორიან ძირზე.

8. მოწყობილობა დადგით მხოლოდ სწორ, სუფთა და მშრალ ზედაპირზე, ადვილად აალებადი ნივთიერებებისა და წვადი საგნებისგან მოშორებით.

9. არ დადგათ მომუშავე მოწყობილობა რბილ ზედაპირზე (ხალიჩა, პირსახოცი, ხელსახოცი). მუშაობის დროს მოწყობილობის ქვეშ უნდა იყოს ხილული სივრცე, რომელიც აუცილებელია ჰაერის ცირკულაციისთვის.

10. არ დააფაროთ მომუშავე მოწყობილობას ქსოვილი ან სხვა საგნები.

11. არ დატოვოთ გამოუშრობელი პროდუქტები მოწყობილობაში დიდი ხნით, რადგან ისინი შეიძლება გაფუჭდეს.

12. არ დატოვოთ მოწყობილობა ჩართული 40 საათზე მეტხანს. 40-საათიანი უწყვეტი მუშაობის დასრულების შემდეგ გამორთეთ მოწყობილობა გამორთვის ღილაკზე დაჭერით, გამორთეთ ქსელიდან და აცალეთ გაგრილება 2 საათის განმავლობაში.

13. მოწყობილობის ყოველი ჩართვის წინ დაათვალიერეთ იგი. მოწყობილობის ან კვების კაბელის დაზიანების შემთხვევაში, არავითარ შემთხვევაში არ შეაერთოთ იგი როზეტში.

14. მოწყობილობა და კვების კაბელი უნდა ინახებოდეს ისე, რომ მათზე არ მოქმედებდეს სიცხე, მზის პირდაპირი სხივები და ტენიანობა.

15. არ დატოვოთ მომუშავე მოწყობილობა უმეთვალყურეოდ! ყოველთვის გამორთეთ მოწყობილობა, თუ მას არ იყენებთ.

16. შეინახეთ მოწყობილობა ქარხნულ შეფუთვაში, ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

17. მოწყობილობის წყალში ჩავარდნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გამორთეთ იგი ქსელიდან. ამასთანავე, არავითარ შემთხვევაში არ ჩაყოთ ხელები წყალში. ხელმეორედ გამოყენებამდე მოწყობილობა უნდა შემოწმდეს კვალიფიციური სპეციალისტის მიერ.

18. მოწყობილობის ქსელში ჩართვამდე დარწმუნდით, რომ იგი იმყოფება გამორთულ მდგომარეობაში.

19. არ გამოიყენოთ მოწყობილობა შენობის გარეთ. დაიცავით მოწყობილობა ბასრ კუთხეებზე დარტყმისგან. ექსპლუატაციის დასრულების შემდეგ, გაწმენდისას ან მოწყობილობის გაუმართაობისას ყოველთვის გამორთეთ იგი ქსელიდან.

20. დაუშვებელია მოწყობილობის გადატანა კვების კაბელით. ასევე აკრძალულია მოწყობილობის ქსელიდან გამორთვა კვების კაბელზე ქაჩვით. ქსელიდან გამორთვისას ხელი მოჰკიდეთ შტეფსელს.

21. იმ დამატებითი აქსესუარების გამოყენება, რომლებიც არ შედის კომპლექტაციაში, გაკარგვინებთ საგარანტიო მომსახურების უფლებას.

22. გამოყენების შემდეგ არასოდეს დაახვიოთ კვების კაბელი მოწყობილობის გარშემო, რადგან დროთა განმავლობაში ამან შეიძლება გამოიწვიოს კაბელის გადატეხვა. შენახვისას კაბელი ყოველთვის სწორად გაშალეთ.

23. კაბელის შეცვლა შეუძლიათ მხოლოდ კვალიფიციურ სპეციალისტებს — სერვის ცენტრის თანამშრომლებს. არაკვალიფიციური რემონტი პირდაპირ საფრთხეს უქმნის მომხმარებელს.

24. არ შეაკეთოთ მოწყობილობა დამოუკიდებლად. რემონტი უნდა შესრულდეს მხოლოდ სერვის ცენტრის კვალიფიციური სპეციალისტების მიერ.

25. მოწყობილობის შესაკეთებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ორიგინალი სათადარიგო ნაწილები.

26. მოწყობილობა განკუთვნილია საყოფაცხოვრებო და მსგავს პირობებში გამოსაყენებლად, კერძოდ:

* მაღაზიების, ოფისებისა და სხვა სამუშაო გარემოს პერსონალის სამზარეულო ზონებში;

* სასოფლო-სამეურნეო ფერმებში;

* სასტუმროების, მოტელებისა და საცხოვრებელი ტიპის სხვა ინფრასტრუქტურის კლიენტების მიერ;

* კერძო პანსიონატებში.